პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი
წევრები:
თამარ რემიშვილი
რუსუდან თედორაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ 2018 წლის 19 და 20 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. 2018 წლის 13-14 ივლისს ჯგუფი შეიკრიბა, ერთმანეთს გაუზიარეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად გამოვლენილი დასაზუსტებელი საკითხები, შეიმუშავეს დღის წესრიგი და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ იგი გაუზიარეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ექსპერტთა ჯგუფი ქ. ქუთაისში ჩავიდა 2018 წლის 18 ივლისს, სადაც კიდევ ერთხელ შეაჯერეს პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისთვის საჭირო დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია და კითხვები ინტერვიუსთვის.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველ დღეს მოხდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება, მათთან განხილული იყო ექსპერტთა მიერ პრობლემურად მიჩნეული საკითხები, მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტები. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხვილვა / შეჯერების შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც ერთმა ექსპერტმა გააგრძელა დღის წესრიგით გათვალისწინებული ადამიანური რერსურსების პირადი საქმეების, ვებგვერდის, კატალოგის და რეესტრის ბაზის შემოწმება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და წევრი წავიდა კოლეჯის ქ. ბაღდათში განთავსებული ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად დასამატებელი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში.

ექსპერტთა დაბრუნების შემდეგ მოხდა კოლეჯის ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. N12 და ნიკეას ქ. N15 განთავსებული სასწავლო ფართების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და საბიბლიოთეკო რესურსის დათვალიერება, რის შემდეგაც ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს პირველი დღის მუშაობის შედეგები და ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღე დაიწყო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუთი, რის შემდეგაც დათვალიერებული იქნა პრაქტიკის ობიექტები და მოხდა პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო ექსპერტთა მუშაობას დასკვნის პროექტზე, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არგუმენტების შესწავლას და მტკიცებულებების მოგროვებას. ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის" ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან იგრძნობოდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მზაობა მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები გაეზიარებინათ, უზრუნველყოფილი იყო კომფორტული სამუშაო პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	მუხლი 6 / პუნქტი დ)	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი	მუხლი 6 /	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

	პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	პუნქტი ე)		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი 8)	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ✓ ავტორიზაციის ექსპერტების აზრით სასურველია დაწესებულების მისია იყოს უფრო კონკრეტული, ასახავდეს დაწესებულების პროფილს და შესაბამისობაში იყოს პროფესიული განათლების მიზნებთან;
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ მოდულებში მითითებულია მათი განხორციელების ადგილი, სასურველია პროგრამაშიც იქნას მითითებული იგი, რათა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს პროგრამის შესახებ სრული ინფორმაციის მარტივად გაცნობის შესაძლებლობა. წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად ადაპტირებულია, თუმცა რიგ მოდულებში საჭიროა სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების ნაწილში ადაპტირება კონკრეტული მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ✓ მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სარესტორნო მომსახურეობა და მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ბუღალტრული აღრიცხვა პროგრამის სტრუქტურისა და მოდულების აღწერაში უნდა შესწორდეს მცდარი ჩანაწერი პრაქტიკის კომპონენტის პროცენტულ წილთან მიმართებაში, რადგან, ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული პრაქტიკის კომპონეტი 90% და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სარესტორნო მომსახურება კი 70,4% არ შეესაბამება რეალურ მაჩვენებლებს;
- ✓ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება და მტკიცებულებების სახით პრაქტიკის დღიურების, ანგარიშების ან სხვა დოკუმენტების შექმნა;
- ✓ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა მიზეზით „მეცადინეობების საპატიო-არასაპატიო მიზეზით პროგრამით გათავლისწინებული საკონტაქტო საათების 30%-ის ოდენობით გაცდენა", (მუხლი4, პუნქტი ი) ექსპერტთა აზრით არღვევს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს და რეკომენდებულია შეიცვალოს სტატუსის შეჩერებით, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნათ დაბრკოლება სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით (განსაკუთრებით საპატიოდ გაცდენილი 30%-ის შემთხვევაში) ან გაიმიჯნოს საპატიო და არასაპატიო გაცდენების შემთხვევაში მიღებული ზომები ერთმანეთისაგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

- ✓ სასურველია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესში ჩანაწერი შეიცვალოს და ნაცვალად ფორმულირებისა ,,სხვა არსებითი გარემოება" ჩაიწეროს „პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება";
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა დაეყრდნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები;
- ✓ სასურველია დაწესებულების შიდა ნორმატიულ დოკუმენტების სისტემატიზაცია;
- ✓ დაწესებულებამ, რომელსაც გააჩნია პერსონალის დისციპლინური კომიტეტის დებულება, საჭიროა შეიმუშავოს ან აღნიშნულ დოკუმენტში ჩაამატოს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის პირობებიც;
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება" პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტი უნდა განისაზღვროს 15 სტუდენტის ოდენობით, ნაცვლად მოთხოვნილი 30 სტუდენტისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

VII. დაწესებულების მისია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია'' მისიაა მაღალხარისხიანი სასწავლო პროდუქტის და მომსახურების მიწოდება, რომელიც სტუდენტის/კლიენტის მოლოდინს ყოველთვის აჭარბებს.

<u>ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მისია იყოს უფრო კონკრეტული, ასახავდეს დაწესებულების პროფილს და შესაბამისობაში იყოს პროფესიული განათლების მიზნებთან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე გადამოწმებული იქნა პროგრამების დამატების მიზნით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიას“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება“, მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ და თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა კრედიტებში, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები.

<u>მიუხედავად იმისა, რომ მოდულებში მითითებულია მათი განხორციელების ადგილი, სასურველია პროგრამაში და კატალოგშიც იქნას მითითებული იგი, რათა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

პროგრამის შესახებ სრული ინფორმაციის მარტივად გაცნობის შესაძლებლობა. წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად ადაპტირებულია, თუმცა რიგ მოდულებში საჭიროა სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების ნაწილში ადაპტირება კონკრეტული მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სარესტორნო მომსახურეობა" და მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ბუღალტრული აღრიცხვა" პროგრამის სტრუქტურისა და მოდულების აღწერაში ფიქსირდება მცდარი ჩანაწერი პრაქტიკის კომპონენტის პროცენტულ წილთან მიმართებაში. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პრაქტიკის კომპონეტი მოიცავს პროგრამის 90%-ს, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სარესტორნო მომსახურება" კი 70,4%-ს. დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების არ ითვალისწინებს დუალურ სწავლებას და აღნიშნული პროცენტული თანაფარდობა გამოსახავს მხოლოდ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების თანაფარდობას და არა პრაქტიკის კომპონენტის მოცულობას. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროა დაზუსტდეს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების რეალური თანაფარდობის მიხედვით;

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას" და შპს ,,აქტივს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.), სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას" და შპს ,,გრანდ პალასს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.) და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „იბერიას" და ააიპ ,,ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.), რომლის ფარგლებშიც იგი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შერჩევით იქნა დათვალიერებული პრაქტიკის ობიექტი და ჩატარებული იქნა ინტერვიუ პრაქტიკის კოორდინატორთან, რომელმაც დაადასტურა პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის გავლა, მაგრამ ისეთ დეტალებზე, როგორებიცაა პრაქტიკის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის დღიურის წარმოება და სხვ. ამომწურავად ვერ გასცა პასუხები.

ავტორიზაციის ექსპერტების აზრით საჭიროა პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება და მტკიცებულებების სახით პრაქტიკის დღიურების, ანგარიშების ან სხვა დოკუმენტების შექმნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

თბილისი, 2018

- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება";
- მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა";
- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები";
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- დაწესებულების წესდება;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" დირექტორის 2018 წლის 2 თებერვლის ბრძანება N28 პროფესიული პროგრამების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და შპს ,,აქტივს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.);
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და შპს ,,გრანდ პალასს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.);
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და ააიპ ,,ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ასახულია ინფორმაცია ანონსის სახით დასამატებელი მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება", მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" და მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების ვებგვერდი www://iberias.ge*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს. კერძოდ,:

- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება" ჩარჩო დოკუმენტს ,,სასტუმრო, მომსახურება და კვება" კვალიფიკაციის კოდით 112068;
- მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა" ჩარჩო დოკუმენტს ,,ბუღალტრული აღრიცხვა" კვალიფიკაციის კოდით 020156;
- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ჩარჩო დოკუმენტს ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" კვალიფიკაციის კოდით 040173.

შედარების შედეგად დადგინდა, რომ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება";
- მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა";
- მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები".

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და შინაგანაწესში. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი წესები ძირითადად ერთი და იგივე შინაარსისაა, თუმცა არსებობს არაარსებითი განსხვავებებიც. ავტორიზაციის ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთმა პირობამ „მეცადინეობების საპატიო-არასაპატიო მიზეზით პროგრამით გათავლისწინებული საკონტაქტო საათების 30%-ის ოდენობით გაცდენა", (მუხლი4, პუნქტი ი), რაც ექსპერტთა აზრით არღვევს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს და რეკომენდებულია შეიცვალოს სტატუსის შეჩერებით, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნათ დაბრკოლება სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით (განსაკუთრებით საპატიოდ გაცდენილი 30%-ის შემთხვევაში) ან გაიმიჯნოს საპატიო და არასაპატიო გაცდენების შემთხვევაში მიღებული ზომები ერთმანეთისაგან. აგრეთვე, აღნიშნულ წესებში სტუდეტის სტატუსის შეჩერების ერთერთ საფუძვლად მითთებულია „სხვა არსებითი გარემოება" (მუხლი3, პუნქტი3.1 ვ), რაც ექსპერტთა აზრით წარმოადგენს ბუნდოვან ჩანაწერს. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუს ფარგლებში განმარტა, რომ ამ ჩანაწერში იგულისხმება პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება. სასურველია აღნიშნული ჩანაწერი შეიცვალოს და ნაცვალად ფორმულირებისა „სხვა არსებითი გარემოება" ჩაიწეროს „პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ შინაგანაწესი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ვიზიტის მიმდინარეობისას კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები კოლეჯებთან: „ლაკადა“, „ახალი ტალღა“ და ,,მერმისი“. აღნიშნული კოლეჯებიდან დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილ სამივე პროგრამას ახორციელებს კოლეჯი ,,ახალი ტალღა“, ხოლო კოლეჯი ,,მერმისი“ კი ერთს. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს შემდგომი განათლებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

- პროფესიულ კოლეჯებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით კოლეჯში შექმნილია მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას ექსპერტები გაეცნენ ვიზიტის მიმდინარეობისას. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის ვადების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესები და ,,საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი". ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ამ უკანასკნელის გამოყენების დამადასტურებელი მასალები: შევსებული კითხვარები, მათი ანალიზი და რეკომენდაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ვიზიტის დროს წარმოადგინა მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯუფის მიერ 2017 წელს განხორციელებული სამუშაოების ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იყო რეკომედაციები სასწავლო პროცესის ხარისხს გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ პერსონალთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

- მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია", ქართულ-ევროპულ სკოლასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (ნიკეას ქ. N12) და რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს თანხმობის საფუძველზე (სხვა მისამართები), სარგებლობის უფლებით ფლობს შენობა ნაგებობებს, საერთო ფართით 14472, 14 კვ. მ. საიდანაც, რეალურად, სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება: ქუთაისში, ნიკეას ქ. N 12-ში მდებარე შენობა (3200 კვ. მ); ქუთაისში, ნიკეას ქ. N 15-ში მდებარე შენობა (1267.71 კვ. მ.); ქუთაისში, ანჯაფარიძის ქ. N61-ში მდებარე სადურგლო სახელოსნო (240.1 კვ.მ); ქ. ბაღდათში, რუსთველის N 80 მდებარე შენობა (1736 კვ.მ);

ანჯაფარიძის ქ. N61-ში სახელოსნოს გარდა ყველა სხვა დანარჩენი ფართი ამჟამად არის სარემონტო მდგომარეობაში, თუმცა იგი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არ გამოიყენება), <u>ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ფართი მთლიანობაში შეადგენდა 5176,1 კვ. მ-ს .</u>

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	2883
2	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	367.21
3	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

4	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	16.46
5	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	24.96
6	ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61	240.10
7	ქ.ქუთაისი ნიკეას ქ N 15	1267.71
8	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	1736
9	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	977.4
10	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	344
11	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	1364
12	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	270
13	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	300
14	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	2160
15	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	2246.4
16	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	14.6
17	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	14.8
18	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	55
19	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	10.5
20	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	50
21	ბაღდათი რუსთაველის ქ N 80	50
22	ქ.ქუთაისი ნიკეას ქ N12	3200

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურების“ გახორციელების ადგილი და სათანადო აღჭურვილობა, პროგრამის გახორციელებისთვის ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. 15-ში შენობა სრულად რეაბილიტირებულია და მასში გათავსებული C გარემო აღჭურვილია ჩარჩო-დოკუმენტით მოთხოვილი მატერიალურ რესურსების შესაბამისად, რომელიც საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიას“ საკუთრებაა. აღნიშულ ფართზე კოლეჯს გააჩნია კომფორტული საერთო საცხოვრებელი, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენებისათვის საჭირო ყველა პირობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება ქ.ქუთაისში ნიკეას ქ. 12. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო A და B სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია სათანადო ივენტარით, პროგრამული უზრუნველყოფითა და ტექნიკით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება ქ.ქუთაისში ნიკეას ქ. 12 და ქ. ბაღდათის ფილიალში. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო A და B სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

გარემო სრულად აღჭურვილია სათანადო ივენტარით, პროგრამული უზრუნველყოფითა და ტექნიკით.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" სასწავლო შენობები ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბაღდათის ფილიალში მიმდინარეობდა ლიფტის სარემონტო სამუშაოებისთვის მომზადება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერებით [redacted]
- კოლეჯის სასწავლო შენობების ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგელებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია", როგორც ქ. ქუთაისში ორივე მისამართზე, ისე ქ. ბაღდათში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო შენობების ფაქტობრივი მდგომარეობა;
- კოლეჯის მიერ კომუნალური გადახდის ქვითრები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგელებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" ბიბლიოთეკები (დაწესებულების ორ მისამართზე, ქ. ქუთაისში, ნიკეას ქ . N12 და ქ. ბაღდათი) დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებული ბეჭდური, და ელექტრონული ლიტერატურის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით. დადგინდა, რომ სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკაში, წიგნები დამუშავავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქ. ქუთაისის, ნიკეას ქ.N12 განთავსებული კოლეჯის ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- კოლეჯის ქ. ბაღდათის ფილიალში განთავსებული ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- მიღბა-ჩაბარების აქტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

თბილისი, 2018

- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის ბრძანება N148 ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია 193 კომპიუტერი, მათგან 140 კომპიუტერი განლაგებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები, ხოლო 53 კომპიუტერს იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობისთვის. ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია უწყვეტი ინტერნეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებული ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტებით.

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში „იბერის" საქმისწარმოება მიმდინარეობს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დაწესებულება ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში Eflow, რაც საშუალებას აძლევს მათ დაზოგონ დრო, ფინანსური და ადამიანური რესურსები. დაწესებულება ასევე აწამოებს პერმანენტულად ინფორმაციის შევსებას ელექტრონული მართვის სისტემაში, გამოყოფილია ემისის ბაზაში ინფორმაციის სისრულეზე და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონული ბაზების შევსების სისრულე და დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.
დაწესებულებაში მოქმედებს ბრძანებების ორი წიგნი (საერთო და სტუდენტებთან დაკავშირებული ბრძანებები), გვერდები დანომრილია და აკინძულია წესების დაცვით. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს დიპლომების რეგისტრაცია ცალკე ჟურნალში.
დაწესებულებაში არის მრავალი შიდა ნორმატიულ დოკუმენტი და ექსპერტთა აზრით სასურველია მათი სისტემატიზება. გარდა ამისა, დაწესებულებამ, რომელსაც გააჩნია პერსონალის დისციპლინური კომიტეტის დებულება, საჭიროა შეიმუშავოს ან აღნიშნულ დოკუმენტში ჩაამატოს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის პირობებიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესის გამოყენების გადამოწმების შედეგები;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის 2017 წ.30 მაისის N182 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- ემისის ბაზის გადამოწმების შედეგები;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-შტატი, სადღეღამისო დარაჯი, ვიდეოსათვალთვალო კამერა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმები.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია სამივე ძირითადი შენობის (ქუთაისი, ბაღდათი) თითოეულ სართულზე, მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები, გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია. ქუთაისში ორივე მისამართზე და ბაღდათის ფილიალში ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახები და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები, რომელთა ვადების კონტროლი ხდება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 2 მედდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის N145 ბრძანება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის N136 ბრძანება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფი წესების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის N139 ბრძანება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია" სამივე მისამართზე არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო, მათ შორის: სველი წერტილები სტანდარტის შესაბამისი კარებითა და სველ წერტილებში არსებული დასაყრდნობი სახელურებით, შენობაში ასასვლელ შიდა კიბეებზე დამონტაჟებულია ლითონის პანდუსები, ლიფტები (დაწესებულების ქ. ბაღდათის ფილიალში ქსტიქიისგან დაზიანებული ლიფტი სარემონტოდ იყო გამზადებული).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი http://www.iberias.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა, დაწესებულების სტრუქტურა, ღირებულებები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

პროგრამების კატალოგი, ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ფოტო-გალერეა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ბოლოს ვებგვერდი განახლებული იქნა 2018წლის 12 ივლისს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდის http://www.iberias.ge დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს ექსპერტების გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა დაეყრდნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები, გვიპასუხეს, რომ გაცნობილები არიან მეთოდოლოგიას და დაგეგმილი აქვთ აღნიშნული სამუშაოს ჩატარება სექტემბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლმა წარმოადგინა ყოველწლიური ანგარიშები დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" განვითარების გეგმა 2013-2019 წ.;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2018-2019 წ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

თბილისი, 2018

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის ფარგლებში პირადი საქმეების გადამწმების შედეგეად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საშტატო განრიგის მიხედვით ყველა პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რეესტრის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ამჟამად დასაქმებულია 72 პროფესიული მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ტექნიკური პერსონალი 60 პირი.

ქ.ბაღდათში ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები შეთავსებული აქვს ბაღდათის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს. იგი გადის ბიბლიოთეკარის გადამზადების კურსს ქ.ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ქ. ბაღდათის ფილიალისთვის აყვანილი იქნას საშტატო ერთეულით ბიბლიოთეკარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პერსონალის დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები;
- დაწესებულების პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. დაწესებულების რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 72, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 436-ს, რაც ნიშნავს, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. თუმცა, <u>დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი და დაწესებულების მიერ ამ პროგრამებზე მოთხოვილი კონტიგენტის რაოდენობა 30-30 სტუდენტი თითო პროფესიულ პროგრამაზე 2-2 ჯგუფის შედგენის მიზნით არ იყო შესაბამისობაში.</u> აღნიშნულ პროგრამებში პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების საათობრივი დატვირთვა საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში გადაფარვის დროს სჭარბობდა 40-50 საათს კვირაში, რომელთა ხარისხიანი გაძღოლა ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს და საკუთარი მოსაზრება გაუზიარეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროგრამების ხელმძღვანელებს. მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა შენიშვნა და ვიზიტის ფარგლებშივე წარმოადგინეს იმ პედაგოგიური რესურსის პირადი საქმეები, რომელთა კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებულ პროფესიული მოდულების განხორციელებას და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წ. 20 ივლისის N217 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების ადამიანური რესურსის შესახებ დაამატეს პროგრამის განმახორციელებელი პირები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და ,,ბუღალტრული აღრიცხვა".

<u>დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო პროფესიული პროგრამის ,,სარესტორნო მომსახურება" პროფესიული მოდულების განმახორციელებელი შესაბამისი კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლის დამატება. განაცხადის მიხედვით ერთი პროფესიული მასწავლებელი უძღვება 1191 საათს ერთი 15 პროფესიულ სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფისთვის. ორი ჯგუფის შემთხვევაში აღნიშნულ მასწავლებელს კვირის განმავლობაში დასჭირდება საშუალოდ 40-45 აკადემიური საათის ჩატარება (საკონტაქტო), რაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებს არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

თბილისი, 2018

მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვროს 15 სტუდენტი, ნაცვლად მოთხოვილი 30 სტუდენტისა.

აქედან გამომდინარე, **დასაშვებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ 30-30 პროფესიული სტუდენტის განსაზღვრა, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ 15 სტუდენტის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას“ დირექტორის 2018 წ. 20 ივლისის N217 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების ადამიანური რესურსის შესახებ
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პედაგოგებთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პოტენციურ პედაგოგებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

1	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სარესტორნო მომსახურება	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურეობაში 112068	84	114	ქართული	ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. 15	0	15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

2	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. 12; ქ.ბაღდათი, რუსთაველის ქ.80;	0	15 15
3	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 040173	90	120	ქართული	ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ.12	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის 2018 წ. 20 ივლისის N217 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების ადამიანური რესურსის შესახებ
დანართი 2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის 2018 წ. 27 აპრილის N106 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
დანართი 3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" დირექტორის 2017 წ.30 მაისის N182 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" დისციპლინური კომიტეტის დებულება;
დანართი 4. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და შპს ,,აქტივს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.);
დანართი 5. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და შპს ,,გრანდ პალასს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.);
დანართი 6. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერიას" და ააიპ ,,ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრს" შორის განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (19.07.2018 წ.);
დანართი 7. ვიზიტის დღის წესრიგი.

დანართი სულ 29 გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

09/08/2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018